საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/21

ქ.თბილისი

„22" ივნისი 2016 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 02 ივნისის N6/17 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლისა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე–5 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 02 ივნისის N6/17 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება:

1.1. ბრძანების მე–6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშების მომზადება განისაზღვროს შემდეგი პერიოდულობით: პირველი სამი ანგარიში 08 სექტემბრის ჩათვლით – 1 თვის პერიოდულობით, ხოლო შემდგომი ანგარიშები – 2 კვირის პერიოდულობით".

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე